

საპროტესტო სიმღერების მულტიმოდალური დისკურსის საკითხები

(ქართულ–ფრანგულ–ინგლისურ მასალაზე დაყრდნობით)

ნათია ხვიჩია

*სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის
მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტზე ფილოლოგიის მაგისტრის აკადემიური
ხარისხის მინიჭების მოთხოვნის შესაბამისად*

გამოყენებითი უცხო ენები და საერთაშორისო მოლაპარაკებები/ეკონომიკა

(ევროპული - რუსული - აღმოსავლური)

სამეცნიერო ხელმძღვანელი: სალომე ლაფაჩიშვილი, მოწვეული ლექტორი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2020

განაცხადი

როგორც წარდგენილი სამაგისტრო ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.

ნათია ხვიჩია.

04.07.2020

აბსტრაქტი

ნაშრომი ეხება საპროტესტო სიმღერების მულტიმოდალური დისკურსის საკითხებს და მოიცავს ამერიკულ, ფრანგულ და ქართულ ჟანრობრივ სასიმღერო ტექსტებს (ამერიკული ფოლკი, შანსონი, ალტერნატიული როკი). ამასთან ერთად, საკითხის შესახებ არსებული აკადემიური ნაშრომებისა და წყაროების მიხედვით, წარმოდგენილია ის ისტორიული გარემოებები, რამაც გავლენა იქონია შემსრულებლების პოზიციის ღიად გამოთქმასა და ენობრივ გამოხატვაზე.

თითოეული სიმღერის შექმნისა და დანიშნულების შესახებ ანალიზის მეთოდოლოგიურ ნაწილს წარმოადგენს მაიკლ ჰალიდის სისტემური ფუნქციონალური ლინგვისტიკური (SFL) და სოციალურ სემიოტიკური (SS) ანალიზი. გარდა ამისა, პერფორმატიული/პრაგმატიკული ზმნების შესასწავლად გამოყენებულია ჯონ ლონგშოუ ოსტინის სამეტყველო აქტთა თეორია. დაბოლოს, რიტორიკული სტილის ანალიზის საფუძველზე ნაშრომში წარმოდგენილია შემსრულებლების მიერ საპროტესტო სიმღერებში გამოყენებული დაწრმუნების ხერხები.

ძირითადი საძიებო სიტყვები: საპროტესტო სიმღერები, სემანტიკა, პრაგმატიკა, დისკურსის ანალიზი, ამერიკული ფოლკი, შანსონი, ალტერნატიული როკი.

Abstract

The paper deals with the issues of multimodal discourse of protest songs and includes American, French, and Georgian genre lyrics of American Folk, Chanson and Alternative Rock. At the same time, according to existing academic papers and sources on the matter, the paper represents historical circumstances that influenced the linguistic expression of the performers' attitudes.

A methodological part of the analysis of the creation and purpose of each song is based on Systemic Functional Linguistics (SFL) and Social Semiotics (SS) analysis devised by Michael Halliday. In addition, John Langshaw Austin's Speech Act Theory has been used to study the performative/pragmatic verbs. Finally, based on the analysis of the rhetorical style, the paper presents the layers of immersion used by the performers in the protest songs.

Key Words: protest songs, semantics, pragmatics, discourse analysis, American folk, Chanson, Alternative Rock.

მადლობა

სამაგისტრო ნაშრომის მომზადებისას გაწეული მხარდაჭერისა და აკადემიური დახმარებისთვის მსურს, მადლობა გადავუხადო ჩემს სამეცნიერო ხელმძღვანელს, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მოწვეულ ლექტორს, სალომე ლაფაჩიშვილს.

მადლობას ვუხდით ფრანგული შანსონის თვალსაჩინო მთარგმნელსა და კრიტიკოსს, ბაჩანა ჩაბრამეს საავტორო მასალით დახმარებისთვის.

მსურს, მადლობა გადავუხადო კლაგენფურტის უნივერსიტეტის ამერიკული დიალექტიკისა და ლინგვისტიკის პროფესორ კრისტოფერ საპს, რომლის აკადემიურმა კურსმა, ერასმუს+ გაცლითი პროგრამის ფარგლებში, საკვლევი თემისადმი ინტერესი გააფართოვა.

აგრეთვე, მადლობას ვუხდით „გამოყენებითი უცხო ენები და საერთაშორისო მოლაპარაკებები/ეკონომიკის“ პროგრამის თითოეულ ლექტორს, ორი წლის განმავლობაში გაზიარებული ცოდნისა და გამოცდილებისთვის.